

## ნათელა მუზაშვილი

### **ტერმინოლოგია და ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში (1998-2009)**

ტერმინოლოგია სამეცნიერო ენის ინფორმაციული ნაწილია. როგორც მეცნიერების დარგი, იგი შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია. მისი შესწავლის ძირითადი საგანი ტერმინია.

სიტყვას, როგორც ენობრივ ფენომენს, ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგი განიხილავს და იკვლევს. ენის სიტყვათა ერთობლიობა, ანუ მისი ლექსიკური შედგენილობა ლექსიკოლოგიისა და მისი ერთი ძირითადი ნაწილის – ტერმინოლოგიის კვლევის ობიექტია, თუმცა მათ ობიექტის შესწავლის სხვადასხვა მხარე აინტერესებთ: პირველი ენის საერთო ლექსიკას იკვლევს, მეორე კი – მეცნიერებისა და ტექნიკის ენას, თავისი ძირითადი საყრდენის – ტერმინის ბუნებას. სწორედ სიტყვის შესწავლის განსხვავებული ასპექტები და ენობრივ მოვლენათა შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმი ანიჭებს თავისთავადობას თითოეულ მათგანს და გამოყოფს როგორც ენობრივ სისტემათა სხვადასხვა განშტოებას.

გარდა საერთო საკვლევი ობიექტისა, ლექსიკოლოგიასა და ტერმინოლოგიას ბევრი სხვა რამ აერთიანებს. უპირველეს ყოვლისა, ეს მათი ლინგვისტიკური პრობლემატიკის ის მხარეებია, რომლებიც სიტყვათა სემანტიკურ-სტრუქტურული წყობის, გრამატიკული გაფორმების საკითხებს უკავშირდება. ამას შეიძლება დაემატოს მათთვის ერთიანად დამახასიათებელი ორი სფერო – ფიქსაციისა (სხვადასხვა ლექსიკონის შედგენა) და ფუნქციონირებისა.

ტერმინის რაობისა და სტატუსის საკითხებს ტერმინოლოგიის შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სპეციალურ ლიტერატურაში დღესდღეობით მთელი თეორიებია შექმნილი, რომლებიც ტერმინის მეტ-ნაკლებად ზუსტ ფორმულირებას იძლევა და განსაზღვრავს მის ადგილს ტერმინოლოგიურ სისტემაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტერმინოლოგიურ მუშაობას საქართველოში მრავალწლიანი ისტორია აქვს, თვით ტერმინთშემოქმედების პროცესი კი იწყება მას შემდეგ, რაც ყალიბდება სალიტერატურო ენა. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთარგმნელობითი სკოლა იყო ერთ-ერთი საფუძველი და ფუძემდებელი ტერმინთშემოქმედებისა. ამ საკითხის შესახებ მრავალი შრომა გამოქვეყნდა. განსაკუთრებით საყურადღებოა რ. ღამბაშიძის მონოგრაფია, რომელშიც სხვა საკითხთა შორის დაწვრილებითაა აღწერილი ტერმინოლოგიური მუშაობის ის გზა, რომელიც ქართულმა სამეცნიერო ტერმინოლოგიამ დღემდე განვლო (ღამბაშიძე 1986: 89-110).

ტერმინოლოგიური ლექსიკონების სისტემატური და გეგმაზომიერი შედგენა, როგორც ცნობილია, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება, ე. ი. ის საბჭოურ პერიოდში იღებს სათავეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საქართველოში ძირითადად ორენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონები იქმნებოდა. ამას იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორები განსაზღვრავდა. ახალი დარგების ჩამოყალიბება ახალ ტერმინთა სისტემას ქმნიდა. მაშინ რუსული ენა პრიორიტეტული იყო საბჭოთა კავშირის მოქალაქეთათვის. ეს ტენდენცია დააჩნდა ყველა სფეროს და, მათ შორის, ტერმინოლოგიურ საქმიანობასაც. სწორედ რუსული იყო შუამავალი ენა. მრავალი უცხო სიტყვა ქართულში რუსული ენის გზით დამკვიდრდა. რა თქმა უნდა, ქართველი ტერმინოლოგები მუდამ ცდილობდნენ ამ ტერმინების ადაპტაციას, აფორმებდნენ მათ ქართული აფიქსებით, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში უცხოენოვანი აფიქსები მაინც შემოდიოდა და მკვიდრდებოდა. მაგ., რუსულმა ენამ უცხო წარმომავლობის სიტყვების ერთი ჯგუფი მდედრობითი სქესის -ა დაბოლოებით მიიღო და დაამკვიდრა. მაგ., **ამბრაზურა** (შდრ. ფრ. embrasure), **ლუპა** (შდრ. ფრ. loupe), **ბობინა** (შდრ. ფრ. bobine) და სხვ. ამგვარი -ა დაბოლოებიანი სიტყვები ქართულში ძირითადად გაფორმდა ამ აფიქსის გარეშე და გაუთანაბრდა ბოლოთანხმოვნიან სახელებს: **გაზეთი**, **კატლეტი**, **ციფრი**, **პუდრი** და მრავალი სხვა. დასტურდება პარალელური ფორმებიც: **გრანტა** და **გრანტი**, **ფანერა** და **ფანერი** და სხვ. სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ძირითადად სალიტერატურო ქართული ენის ის ნორმაა დაცული,

რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია, რომ უცხო წარმომავლობის აფიქსი ჩამოაცილოს ტერმინს და თავისი საკუთარი ენობრივი აფიქსაცია გამოიყენოს. ეს არის ნორმა, მაგრამ ტერმინთა სისტემაში მაინც დარჩა უცხო წარმომავლობის ზოგი სიტყვა, რომლებიც რუსული -ა აფიქსითაა დამკვიდრებული (ოსაძე 1988: 53).

ერთ-ერთი მსგავს პრობლემათაგანია **-იზირ** აფიქსიანი უცხო წარმომავლობის ტერმინებიც, რომელთა ნორმალიზაციის საკითხიც შესწავლილი და დაზუსტებულია.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ახალი ხანა ქართველი ერის ცხოვრებაში. დამოუკიდებლობის მოპოვებამ გარკვეულად შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება. ის აღარ იმყოფება ჩაკეტილ სივრცეში, გაცხოველებულია ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებთან.

ამ პროცესებს ბუნებრივად მოჰყვა, ახალი დარგების შექმნა, ტექნიკის არნახული აღმავლობა ტერმინოლოგიაშიც აისახა. ჩნდება ახალი ცნებები და ტერმინები. ამავე დროს ქვეყნის პოლიტიკურმა ცვლილებებმა, საერთაშორისო კონტაქტებმა სხვა ევროპულ ენებსაც მიანიჭა გარკვეული უპირატესობა. საყოველთაოდ ცნობილია ინგლისური ენის როლი საერთაშორისო კომუნიკაციებში. ყველაზე აქტიურად სწორედ ინგლისურენოვანი ტერმინები ხდება საფუძველი სამეცნიერო ენისათვის და, შესაბამისად, ტერმინების მეტი წილი, განსაკუთრებით, ახალი ტექნოლოგიების გამომხატველი ტერმინები, ინგლისური ენიდან შემოდის.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ინტენსიურად დაიწყო ახალი ტერმინოლოგიური ლექსიკონების დამუშავება ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განყოფილება აგრძელებს ყველა იმ ტრადიციას, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა. საზოგადოდ, განყოფილების სპეციფიკა ითვალისწინებს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი ლექსიკონების დამუშავებასა და განხილვას ერთობლივ სხდომებზე, რომლებსაც ენათმეცნიერებთან ერთად დარგის სპეციალისტებიც ესწრებიან. სიახლეს განყოფილების მუშაობაში წარმოადგენს ის, რომ ტერმინები უკვე არა მხოლოდ ორ ენაზე, არამედ რამდენიმე ენაზეა წარმოდგენილი.

დღეს ინგლისური ენა პრიორიტეტულია მსოფლიოში და

ლექსიკონთა უმეტესი ნაწილი ჩვენში ინგლისურ-ქართული ან ქართულ-ინგლისურია. დამუშავებულია სამენოვანი და ხუთენოვანი ლექსიკონებიც. სიახლეა ისიც, რომ დამუშავდა რამდენიმე განმარტებითი და ენციკლოპედიური სახის ლექსიკონი (ფსიქიატრიული, ეკონომიკის ენციკლოპედიური, საავიაციო, მენეჯმენტისა). ეს ლექსიკონები, ბუნებრივია, ყველა ნორმატიულია. გარკვეულად შეიცვალა ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენის პრინციპებიც. თუ ბუდობრივი სისტემით აგებისას სალექსიკონო ერთეულად უპირატესობა სახელს ენიჭებოდა და ტერმინოლოგიური შესიტყვება მასთან იყრიდა თავს, ახლა ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში უპირატესობა მიენიჭა მსაზღვრელ-საზღვრულის ბუნებრივ წყობას: ეს გამართლებულიცაა, რადგან მომხმარებელს უფრო უმარტივებს სალექსიკონო ერთეულის მოძებნას. გასათვალისწინებელია, რომ ლექსიკონის მომხმარებელი არა მარტო ლინგვისტი, არამედ სხვადასხვა დარგის წარმომადგენელია, რომელთათვისაც ბუნებრივი სწორედ მსაზღვრელ-საზღვრულის პირდაპირი წყობაა.

ტერმინოლოგიური ლექსიკონების უმეტესობას ახლავს ინდექსაცია.

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ლექსიკონებისა სია, რომლებიც ბოლო ათწლეულში ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში დამუშავდა:

1. ნიადაგმცოდნეობის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული), (თ. ჩხეიძე), თბ., 1998.

2. მეტალურგიის ტერმინოლოგიური ლექსიკონი (ქართულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული), (ო. შურაძე), თბ., 1999.

3. ფსიქიატრიული ენციკლოპედია, (ა. გამყრელიძე, ნ. ნიკოლაიშვილი), თბ., 1999.

4. ინგლისურ-რუსულ-ქართული ენერგეტიკული ლექსიკონი (რ. კანდელაკი), თბ., 2000.

5. სახელმწიფო მმართველობის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, (ლ. დოლაქიძე), თბ., 2000.

6. ავტოტრანსპორტისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული), (ი. ქოჩიაშვილი, გ. ჯოხაძე), თბ., 2001.

7. ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია

(ლ. ჩიქავა), თბ., 2001.

8. ჯანდაცვის მენეჯმენტის განმარტებითი ლექსიკონი (ო. ვასაძე, ც. ჯანელიძე, ლ. კობალაძე), თბ., 2002.

9. ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული), (გ. ნადირაშვილი, რ. კრიჭინაშვილი), 2003.

10. ინგლისურ-რუსულ-ქართული საავიაციო ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი (ს. ტეფნაძე), თბ., 2003.

11. ქართულ-ინგლისური და ინგლისურ-ქართული პოლიგრაფიული და საგამომცემლო ლექსიკონი, თბ., 2003.

12. წყლის რესურსების მართვის სამეცნიერო ლექსიკონი (ი. ყურაშვილი, კ. ბზიავა), თბ., 2003.

13. რუსულ-ქართულ-ინგლისურ-გერმანული ქიმიური ლექსიკონი (გ. ციციშვილი), თბ., 2004.

14. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი (ა. სილაგაძე), თბ., 2005.

15. მარკეტინგის ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2005 (საქართველოს მარკეტინგის ასოციაცია).

16. მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი (გ. ტორაძე, გ. თამარაშვილი), თბ., 2005.

17. ნავთობისა და გაზის ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი (რ. კანდელაკი), თბ., 2005.

18. ბიოლოგიურ ტერმინთა მოკლე განმარტებითი ლექსიკონი (ლ. ბურდილაძე, თ. გამყრელიძე), თბ., 2006.

19. ენციკლოპედია „ქართული ენა“, თბ., 2008.

20. არაორგანული მასალათმცოდნეობისა და მეტალურგიის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (ქართულ-რუსულ-ინგლისური), (ო. შურაძე), თბ., 2008.

21. ინგლისურ-ქართული სამეცნიერო-გინეკოლოგიური ლექსიკონი (ა. ბაქრაძე), თბ., 2009.

## ლიტერატურა

**დამბაშიძე 1986** – რ. დამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

**ოსაძე 1988** – მ. ოსაძე, თვისების აღმნიშვნელ უცხო წარმომავლობის ტერმინთა მორფოლოგიური გაფორმების საკითხები სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.